

# გლობალური პროგრამა გენდერული ნიშნით სქესის შეჩვევის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის

ფაქტების უწყისი  
ოქტომბერი 2018

საქართველო

## 1 შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში მკვეთრად გაიზარდა დაბადებული ბიჭების რაოდენობა დაბადებულ გოგონებთან შედარებით. 2004 წელს საქართველოში დაფიქსირდა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის (SRB) ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მსოფლიოში, თუმცა 2016 წლისთვის ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა SRB-ს ბიოლოგიურ ნორმას. ეს გენდერულად უფრო თანასწორი საზოგადოებისაკენ მიმართული ნაბიჯია.

### ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭება

ქართული საზოგადოება, პატრიარქალური სისტემიდან გამომდინარე, ვაჟებს მკვეთრად გამოხატულ უპირატესობას ანიჭებს. ოჯახი საქართველოში ბუნებით პატრილინეალურია და ის ინახავს ტრადიციებს, ეროვნულ ღირებულებებსა და იდენტობას. პატრილინეალური სისტემა არის სისხლით ნათესაობის ზოგადი სისტემა, რომელშიც ადამიანის ოჯახის წევრობა მამის ხაზით განისაზღვრება.

ეს, როგორც წესი, გულისხმობს ქონების, უფლებების, გვარისა და წოდების მემკვიდრეობით გადაცემას მამის ხაზით. ასეთ სისტემებში ვაჟები ოჯახის მარჩენალებად და ხანდაზმული მშობლების მთავარ მხარდამჭერებად განიხილებიან. ხოლო ქალები სტერეოტიპულად აღიქმებიან როგორც ბუნებრივი მომვლელი, რომელთა ძირითად პასუხისმგებლობას შვილებზე ზრუნვა და საყოფაცხოვრებო მოვალეობების შესრულება წარმოადგენს. ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭება წარმოადგენს გენდერული ნიშნით მიკერძოებული რეპროდუქციული ქცევის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

იმ შემთხვევაში თუ მშობელს ეყოლება მხოლოდ ერთი შვილი, გამოკითხულთა 46% ამტობინებს ვაჟის ყოლას, 9% ქალიშვილის ყოლას და 45%-ისთვის კი შვილის სქესს მნიშვნელობა არ აქვს.

- „ვაჟებს აქვთ მნიშვნელოვანი
- პასუხისმგებლობა, ისინი უნდა
- გვეხმარებოდნენ ფინანსურად. მე უფრო
- მეტად ორიენტირებული ვარ
- ვაჟიშვილებზე.“
- 
- ზრდასრული გათხოვილი ქალი, დუშეთი

### შემცირებული შობადობა

შობადობის დაბალი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ ოჯახები ვეღარ ახერხებენ განმეორებითი ფეხმძიმობით ვაჟის გაჩენას და სქესის დადგენის ტექნოლოგიების მზარდი ხელმისაწვდომობის პირობებში, წყვილებმა შეიძლება მიმართონ სქესის შერჩევის გზას, რათა უზრუნველყონ ვაჟის დაბადება. საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების ერთ-ერთი შედეგი შობადობის შემცირებული მაჩვენებელი გახლდათ, რადგანაც ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში საოჯახო მეურნეობის ბიუჯეტზე წნეხის შემცირების ერთ-ერთ სტრატეგიად სწორედ ოჯახის ზომის შემცირება განიხილებოდა. დაბალი შობადობა მოქმედებს როგორც „შემზღვეველი“ ფაქტორი და აიძულებს მშობლებს, გააკეთონ არჩევანი მათთვის სასურველი სქესის სასარგებლოდ.

### სქესის დადგენის ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა

ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა არ წარმოადგენს ვაჟებისადმი უპირატესობისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის ძირეულ მიზეზს, მაგრამ არის ხელშემწყობი ფაქტორი. სათანადო ტექნოლოგიების არარსებობის პირობებში, ვაჟის ყოლის სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი, მშობლები ვერ



შედლებდნენ სქესის შერჩევას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საზღვრების გახსნამ შესაძლებელი გახადა ქვეყანაში ახალი ულტრაბერითი დანადგარების შემოტანა და საბჭოთა ტექნოლოგიების ახლით ჩანაცვლება. ამჟამად, საქართველოში ხელმისაწვდომი და შედარებით იაფია მაღალტექნოლოგიური რეპროდუქციული მომსახურება. ფეხმძიმობისას პრენატალური დიაგნოსტიკის მომსახურება არის უალრესად ხელმისაწვდომი და ამასთანავე მიღებული პრაქტიკა ფეხმძიმობისას, რაც ადვილს ხდის გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას.

**დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენცია**

1990-იანი წლებიდან დაბადებული გოგონების წილმა ვაჟებთან შედარებით შემცირება დაიწყო. სქესთა თანაფარდობამ მაქსიმუმს (115.2 ვაჟი 100 გოგონაზე) 2004 წელს მიაღწია, მაშინ, როდესაც ზოგადად მიღებული ბიოლოგიური ნორმა არის 100 გოგონაზე 104-106 ვაჟი. ამის შემდგომ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელმა კლება დაიწყო და 2016 წელს უკვე ნორმალურ მაჩვენებელს დაუბრუნდა - 100 გოგონაზე 105 ვაჟი.

ეს დადებითი ტენდენცია შეგვიძლია ავხსნათ რამდენიმე ფაქტორით, როგორცაა: საჯარო ინსტიტუტებისა და სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერება, გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობა, შობადობის ზრდა, ქალების ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება.

სოციალური და ოჯახის ნორმები, რომლებიც საფუძველს იღებს ეროვნული ტრადიციებიდან და ეროვნული სიამაყიდან, შეიძლება უფრო გამძლე აღმოჩნდეს ცვლილებების მიმართ. გენდერული დისკრიმინაციის ტრადიციული და კულტურული ასპექტები კვლავ წარმოადგენს ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების საფუძველს საქართველოში. ამასთანავე, ქვეყნის საზოგადოების და ექსპერტების ინფორმირებულობის დონე ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შესახებ კვლავ შეზღუდულია.

- ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭება
- უფრო თვალსაჩინო ხდება მესამე და
- შემდგომი შვილის დაბადებისას და
- დამოკიდებულია შვილების გენდერულ
- კომპოზიციაზე (დაბადებისას სქესთა
- რაოდენობრივი თანაფარდობა მესამე
- და შემდგომი შვილის დაბადებისას 100
- გოგონაზე 173.8 ვაჟის ნიშნულსაც კი
- აღწევს ოჯახებში, სადაც ვაჟი არ ჰყავთ).

**ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების განსხვავებები**

მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა ვლინდება კონკრეტულ პირობებში, და/ან მერყეობს მოსახლეობის განსხვავებულ ჯგუფებს შორის.

სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. სასოფლო დასახლებებში სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელმა პიკს - 111.8 ბიჭი, ყოველ 100 გოგონაზე, 2010-2014 წლებში მიაღწია, მაშინ როცა, იგივე მაჩვენებელი ქალაქში მცირედით გადახრილი იყო ბუნებრივი ნორმიდან და შეადგენდა 107.1 ბიჭს 100 გოგონაზე. იმავე 2010-2014 წლებში ქვეყნის დედაქალაქი და ყველაზე დიდი ქალაქი, თბილისი დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით (105) გამოირჩევა.

ქართულ ოჯახებთან შედარებით ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების გაცილებით მაღალი დონეა ეთნიკურად აზერბაიჯანულ და სომხურ ოჯახებში. ხოლო, ვაჟის არყოფნა ნაკლებად მნიშვნელოვანია მდიდარ ოჯახებში, ხელფასის მქონე ადამიანებისთვის და ასევე ოჯახებში, რომლებიც სოციალურ დახმარებას იღებენ.

რეგიონი	დაბადებულია რიგითობა			სულ
	1	2	3+	
თბილისი	104.6	104.1	109.9	105.3
აჭარა	106.2	104.4	124.9	108.0
გურია	101.7	107.8	117.0	106.5
იმერეთი	106.6	103.9	116.6	107.1
კახეთი	109.8	108.7	133.6	113.2
მცხეთა-მთიანეთი	107.9	110.0	110.4	108.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	103.0	111.0	109.4	106.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	104.0	105.7	113.5	105.9
სამცხე-ჯავახეთი	104.7	107.6	145.9	111.6
ქვემო ქართლი	106.0	108.4	145.5	113.2
შიდა ქართლი	108.3	104.1	114.3	107.6

წყარო: UNFPA 2017

# 2 ეროვნული ნორმატიული სისტემა: კანონები, პოლიტიკა და სტრატეგიები

## საერთაშორისო ვალდებულებები

1994 წელს საქართველომ დაამტკიცა „ქალების წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია“ (CEDAW). CEDAW ნათლად განსაზღვრავს დისკრიმინაციას და ავლენს სამთავრობო უწყებების ვალდებულებებს, შექმნას უფრო დაბალანსებული ინდივიდუალური და სამოქალაქო უფლებები საზოგადოებისთვის.

ასევე საქართველომ ხელი მოაწერა მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამას, რომლის მიხედვით უნდა აღმოფხვრას გოგონების წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია, მათ შორის გაუბედურებაში უპრატესობის მინიჭების პრაქტიკა.

## ეროვნული კანონმდებლობა და ჩარჩოები

საქართველომ გენდერული თანასწორობის პრინციპებს კონსტიტუციის დონეზეც ადგენს. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა სქესის მიმართ უმეტესად ნეიტრალურია და მისი გავლენა დისკრიმინაციაზე კვლავ ბუნდოვანი რჩება. 2002-2007 წლების მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების პერიოდში მომზადებული გენდერის შეფასების ანგარიშის (2010 წ.)<sup>1</sup> თანახმად, ბევრი ახალი კანონი დამტკიცდა, მაგრამ ძალიან ცოტა შეფასდა გენდერის თვალსაზრისით.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც 2010 წლის მარტში ამოქმედდა, მიზნად ისახავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დისკრიმინაციის აღმოფხვრას.<sup>2</sup>

კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ: 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო და რამდენჯერმე შეცვალა და დახვეწა საქართველოს კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ, რომელიც ამჟამად ქალთა მიმართ ძალადობასაც მოიცავს.

ანტიდისკრიმინაციული კანონი: 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ანტიდისკრიმინაციული კანონი), რომლის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ყველა ადამიანისთვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა. ანტიდისკრიმინაციული კანონი მკაფიოდ განმარტავს პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის ცნებებს და განსაზღვრავს რეგულაციის მასშტაბს.

თუმცა, კანონების აღსრულება ყოველთვის არ ხდება. მაგალითისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მემკვიდრეებს ანიჭებს თანაბარ უფლებებს, მემკვიდრეობით მიიღონ ქონება, მოქალაქეები უმეტესად ფართოდ გავრცელებული ტრადიციით ხელმძღვანელობენ, რომელიც უპირატესობას ვაჟებს ანიჭებს.

ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობს ცალკე კანონი, რომელიც დაარეგულირებს სქესის შერჩევის მიზნით გაკეთებულ აბორტებს (მხოლოდ ბრძანებები და ოქმები). მთავარი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ საკითხს ეხება, არის პროტოკოლი ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის შესახებ (ივლისი, 2014), რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არის მომზადებული. აღნიშნული პროტოკოლი ადგენს ლეგალურ აბორტთან და-

კავშირებულ ოფიციალური პროცედურებისა და წესების ერთობლიობას. ამ პროტოკოლის თანახმად, გენდერული ნიშნით აბორტი არ არის დაშვებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩანასახს სქესთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი დაავადება აღენიშნება.

მთავრობამ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისათვის და მისი განხორციელების პერიოდული სამოქმედო გეგმები - საქართველოს ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს ადამიანის უფლებებს მრავალ ასპექტში და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს.

ეროვნული სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებთაშორის კომისიის უფლებამოსილებაშია შემუშავოს 3-წლიანი, პერიოდული სამოქმედო გეგმები. 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმები დამუშავდა მონაწილეობით პრინციპით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარებით, რომელიც დასრულდა და ძალაში შევიდა 2018 წელს.

## გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მოახერხა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მჩვენებლის დასტაბილურება ბიოლოგიურ ნორმასთან ახლოს, რჩება რამოდენიმე გამოწვევა, რომლის აღმოფხვრა აუცილებელია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის სრულად აღსაკვეთად:

- ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძლიერ არის გავრცელებული ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკა და მამაკაცის ხაზის მნიშვნელობა. ოჯახების პატრიარქალური სისტემა განაპირობებს ვაჟების გოგონებზე აღმატებულობას, რასაც შედეგად დისკრიმინაციული ქცევა და დამოკიდებულებები მოსდევს.
- გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრაქტიკას საქართველოში ხშირად ეროვნულ ტრადიციებს უკავშირებენ, შესაბამისად იგი მიიჩნევა ნორმად, ან კულტურის ნაწილად, რაც კიდევ უფრო ართულებს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის აღმოფხვრას;
- მიუხედავად იმისა, რომ ქართული საკანონმდებლო სისტემა და პოლიტიკა უზრუნველყოფს პრიორიტეტების ჩარჩოპირობებს, რომლებიც თანხვედრაშია აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან, კანონის სრულად აღსრულება რჩება გამოწვევად, რაც რესურსებისა და შესაძლებლობების ნაკლებობით არის განპირობებული;
- ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება კვლავ პრობლემას წარმოადგენს: სასოფლო დასახლებებში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა კვლავ მნიშვნელოვნად მაღალია საქალაქო დასახლებებთან შედარებით. მნიშვნელოვანია ამ განსხვავებების აღმოფხვრა;
- გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე საჭარო სექტორისა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის, კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს. ისინი გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას არ აღიქვამენ როგორც დისკრიმინაციას გოგონების მიმართ. მათი ინფორმირებულობის დონე, აღნიშნული პრაქტიკის უარყოფითი სოციალ-დემოგრაფიული შედეგების შესახებ კვლავ ძალიან დაბალია.

1 გენდერული შეფასების ანგარიში, (2010) USAID/საქართველოს მიერ მომზადებული.  
2 შრომით ურთიერთობებში, განათლებასა და მეცნიერებაში, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაში, და ოჯახურ ურთიერთობებში.

## ცოდნის ამაღლება

- ეროვნული სოციო-ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის ჩატარება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასა და გენდერულ უთანასწორობაზე;
- გენდერული უთანასწორობის კულტურული და ტრადიციული ასპექტების გამოვლენა და კონკრეტული პოლიტიკის დონისძიებებით მათი მოგვარება;
- სოციო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნოგრაფიული კვლევების ხელშეწყობა ქართული ოჯახის დინამიკის, პატრიარქალური წყობისა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის გასაანალიზებლად;
- ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების გამოვლენა და იმ ასპექტების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლიან მათ სოციო-ეკონომიკურ ინტეგრაციას (მათ შორის წვდომა ინფორმაციაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ და იურიდიულ სერვისებზე);
- კვლევის ჩატარება ქალების ცნობადობის დონის დასადგენად საკუთარი უფლებების შესახებ;
- დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მონიტორინგის გაუმჯობესების მხარდაჭერა.

## საკანონმდებლო და პოლიტიკის დონისძიებები

- არსებული კანონების აღსრულების გაძლიერება; ქალების მიერ თავიანთი უფლებების მაქსიმალურად გამოყენების ხელშეწყობა, განსაკუთრებით სოფლებში.
- სოციო-ეკონომიკური პოლიტიკის დონისძიებების განხორციელება გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად და სხვადასხვა ფორმით გენდერული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა სოფლებში მცხოვრები ქალებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ;
- ბრძოლა იმ კულტურული სტერეოტიპების წინააღმდეგ, რომლებიც გოგონებს ვაჟებთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან და ოჯახისათვის ნაკლებად სასარგებლო პოზიციაში აყენებენ. ასეთი სტერეოტიპები ხშირად გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული დამოკიდებულებებისა და პრაქტიკების ძირეულ მიზეზს წარმოადგენს.
- ქალებისთვის და გოგონებისათვის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე ინფორმაციის, განათლებისა და სერვისების უნივერსალური მიწოდების უზრუნველყოფა;
- მამაკაცის, როგორც ოჯახის მარჩენლისა და ქალის, როგორც ოჯახის მომვლელის, ტრადიციულად მიღებული როლების გადახედვა ისეთი ინიციატივებით რომელიც გა-

ზრდის მამაკაცის მონაწილეობას ოჯახურ ცხოვრებაში და შეამსუბუქებს ქალების „ორმაგ ტვირთს“. მაგალითად, დეკრეტული თუ მშობლებისთვის განკუთვნილი შვებულების შემოღებით მამებისათვის;

- პოლიტიკური დონისძიებების მეშვეობით დასაქმებისა და პროფესიების კუთხით არსებული გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის ხელშეწყობა.

## ადვოკატირება, კომუნიკაცია და საზოგადოების მობილიზაციის მხარდაჭერა

- სამთავრობო უწყებებისა და საზოგადო პირების ცნობიერების ამაღლება გენდერულ თანასწორობასა და მდგრადი განვითარების შესახებ;
- ფორმალური განათლების სისტემის კურიკულუმებში გენდერული თანასწორობის, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და რეპროდუქციული უფლებების საკითხების ინტეგრაცია;
- საკომუნიკაციო კამპანიების ორგანიზება, რომლებიც მიმართულია ქალთა უფლებების შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე ქალებსა და მთლიან პოპულაციაში.
- წარმატებული გოგონებისა და ქალების ისტორიების გაგრძელება, რომლებსაც შეუძლიათ გახდნენ როლური მოდელები და ხელი შეუწყონ გაბატონებული სტერეოტიპების დამსხვრევას;
- სტრატეგიების, მათ შორის საკომუნიკაციო კამპანიების განხორციელება, რათა ხელი შეეწყოს ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და მათ წვდომას რესურსებზე.
- პროფესიული ასოციაციებისა ჩართვით სქესის დადგენის ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენების ადვოკატირება; შესაბამისი სახელმძღვანელოსა და რეკომენდაციების შემუშავების მხარდაჭერა.

## პარტნიორობა

საქართველოსა და მთლიანად რეგიონში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის აღმოსაფხვრელად საჭიროა პარტნიორობა. მნიშვნელოვანია გაფორმდეს პარტნიორობა და მოხდეს ცოდნისა და გამოცდილების გაცვლა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, რომელთაც თანაბრად აწუხებთ დაბადებისას სქესთა დარღვეული თანაფარდობის პრობლემა. ასევე, პარტნიორობა შეიძლება შედგეს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კვლევით დაწესებულებებთან ერთობლივი კვლევებისა და ახალი პროდუქტების შემუშავების მიზნით, რათა ხელი შეეწყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმულირებას.

### გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) გლობალური პროგრამა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის

პროგრამა მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამების განვითარებაში, რომლებიც მიმართულია ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების აღმოფხვრისკენ, ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევისაკენ და, ამგვარად, ამ საზიანო პრაქტიკის პრევენციას შეუწყობს ხელს აზიისა (ბანგლადეში, ვიეტნამი, ნეპალი) და კავკასიის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) იმ ქვეყნებში, სადაც ეს პრაქტიკა გავრცელებულია.

### გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

საქართველოს ოფისი  
გაეროს სახლი  
ერისთავის ქ. 9 თბილისი, 0179  
საქართველო